**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 277 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 277

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ანუ რომელთაც აქვთ თავიანთი უმთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და იმიერ-კასპიის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ე. მეტცლის და ამხ.-ის განცხადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაურია სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.


## რედაქციისაგან

„ივერიის" რედაქციამ ბინა გამოიცვალა და გადავიდა უფრო მოხერხებულ ადგილას, სახელდობრ ბარონის ქუჩაზედ, სახლი კ. ალექსი-მესხიშვილისა, კალოუბნის ეკლესიის გვერდზედ, ფოსტის მახლობლად.


იბეჭდება და სამობამოდ დაურიგდებათ მეორე პრემიათ „ივერიისა" „აღდგომა" (Воскресенье), რომანი გრ. ლ. ნ. ტოლსტოისა, იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც 1 თებერვლამდე შემოიტანეს თითო თუმანი.

ტელეფონი № 63. წარმოდგენა № 9 (აბონემენტის რიცხვში).

### სახაზინო თეატრი

ოთხშაბათს, 8 დეკემბერს, 1904 წ.

ქართულის დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

◆ ვალერიან გუნიას საბენეფისოდ ◆

პირველად ორი ახალი პიესა

**პირველი** ▬ ორიგინალური პიესა

**ნაოხარზედ**

ანუ

ჩვენებური კენწობანა

თანამედროვე სურათები 3 მოქმედ., ვალერ. გუნიასი.

**მეორე** ▬ ნათარგმნი პიესა

**ახირებული შემთხვევა**

ანუ

მალად გაგიჟებული

მხიარული კომედია 2 მოქმ., მაკს მორეისა, თარგმ. ვ. გუნიასი.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. ჯავახიშვილი ᲓᲐ სხვ.; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვალ. გუნია, ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, ნ. სარჯველაძე, კ. შათირიშვილი, ვ. შალიკაშვილი ᲓᲐ სხვ.

საწევრო სეზონის ბილეთები ძალაშია.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია ◆ **დასაწყისი საღამოს 8 საათ.**

ამხანაგობის დირექცია. პიესებს დასდგამს მობენეფისე ვალ. გუნია.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ოფიცერთა ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა, № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოხუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—დოროსმელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

**ვ. ს. მუსხელაშვილი**—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 ს., გარდა სამშაბათისა.

**ალექსი-მესხიშვილი,** სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სქესობრივ ავადმყოფებსა და საშარდე-სქესობრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.


ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 12 დეკემბერს, საღამოს 8 საათზედ, სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია ქართ. დრამატ. საზოგადოების წევრთა არა ჩვეულებრივი კრება.

განსახილველი საგნები:

1. გ.გ. ზუბალაშვილების შემოწირულების შესახებ.
2. მოხსენება ქართულის თეატრის შესახებ.
3. მოხსენება აღმასრულებელ კომისიათა შესახებ.
4. ხარჯთ-აღრიცხვა მომავალის წლისა.
5. საზოგადოების არსებობის 25 წლის იუბილეის პროგრამა.
6. ახალ წევრების არჩევანი.

(3—6—3).


## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კკრაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 1½—2 საათ. ქალისა და საზებიო ავადმყოფობისა.

**საღამოობით:**

**ზ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 5 7 საათ.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

### ვეტცელის თეატრი

(მიხეილის ქუჩაზე)

კვირას, 5 დეკემბერს,

ქართულის დრამატიულის დასის-მიერ წარმოდგენილი იქნება

**პატარა კახი**

დრამა 5 მოქმ., თავ. აკ. წერეთლისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნი ო. ლეჟავა, ბ. ნებიერიძისა; ბ-ნნი ს. სვიმონიძე, ი. ივანიძე, ვ. შალიკაშვილი, ჩარკვიანი, ნ. სარჯველაძე, მატარაძე, საფაროვი, იორდანაშვილი, წუწუნავა და სხვ.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი 20 კაპეიკიდან 2 მანეთამდე.

დასაწყისი 8 საათზედ.

ადმინისტრაცია ამხანაგობისა.

მორიგი რეჟისორი ვ. აბაშიძე.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

### ლ. დ. დონსკოისა

პარასკევს, 3 დეკემბერს,

1-ლი გასტროლი საიმპერატ. თეატრის არტისტ. ქალის ნადეჟდა ამბროსის ასულის **პაპაიანისა** და მესამე დებიუტი ვ. ი. ლაზარევისა.

წარმოდგენილი იქნება

**პიკოვაია დამა**

ოპერა 3 მოქმ. 7 სურ., მუსიკა ჩაიკოვსკისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი პაპაიანი, დმიტრიევი-პოკასოვსკისა, ბუნაკოვისა, ხარიტონოვისა, ფერარი, მიხაილოვისა და სხვ.; ბ-ნნი ლაზარევი, ობრაზცოვი, დემიანენკო, სპერანსკი, ბაგროვი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცმვიჩი.

კაპელმეისტერი ან. ეიხენვალდი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

შაბათს, 4 დეკემბერს,

მე-8 «გალა» წარმოდგენა

ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით

პირველად ტფილისის სახაზინო თეატრში

წარმოდგენილი იქნება

**მანონი**

ოპერა 5 მოქმედ., მუსიკა მასსენესი.

კვირას, 5 დეკემბერს,

მესამე გასტროლი საიმპერატ. თეატრის არტისტ. ქალის ნადეჟდა ამბროსის ასულის **პაპაიანისა**

წარმოდგენილი იქნება

**ფაუსტი**

ხუთშაბათს, 9 დეკემბერს ბენეფისი პ. ი. პოლუიანოვისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად **«მანდარინის შვილი»**, ც. კიუისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელდერი.


## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

პორტ-არტური. «რუს. ვედ.»-ის სამხედრო მიმომხილველი ს. კ. სწერს: იაპონიის მთავარი შტაბმა გამოაცხადა, რომ 13 ნოემბერს პორტ-არტურის საერთო იერიში დაიწყოო. როგორც გამოირკვა, ეს იერიში იყო მართლაცა და სერიოზ-ული სამხედრო მოქმედება ციხის ჩრდილოეთისა და დასავლეთ მხარეების წინააღმდეგ. იაპონელებს ძალიან ადვილადაც რომ გაემარჯვნათ, სულ ერთია, ციხეს მთლად ვერ აიღებდნენ, რადგან იერიში მხოლოდ ციხის მთავარ ფორტების პირველ რიგზედ მიიტანეს. «სტოლოვია»-ს მთებზედ აშენებულია მთელი რიგი სიმაგრეებისა. ამ სიმაგრეების უმთავრესი ფორტები: მაღალი მთა (ვისოკაია), გძელი მთა (დლინნაია), 303 მეტრიანი გორა და წითელი გორაკი (კრასნი ხოლმ) როგორც 203 მეტრიან გორის იერიშის აწერილობიდგანა სჩანს, ძლიერ იყვნენ გამაგრებული; 203 მეტრიან გორის მწვერვალზე ჯავშნიანი კოშკებიც იყო ამართული. ეს კოშკები 6 დიუმიან ზარბაზნებით იყო შეიარაღებული. პორტ-არტურის დასავლეთისა და აღმოსავლეთ სიმაგრეებ შორის ის განსხვავებაა, რომ ციხის აღმოსავლეთ სიმაგრეების პირველი რიგი მეორე რიგზედ ძლიერაა გამაგრებული, დასავლეთისა კი, პირიქით, მეორე რიგი პირველზედ ძლიერია. ამიტომ ციხის ბედი იაპონელების მიერ აღებულ დასავლეთის სიმაგრეთა პირველ რიგზედ არ არის დამოკიდებული, რადგან თითქმის შეუძლებელია აღება მეორე რიგის ფორტებისა (ანძეშანი და იძიშანი), რომელნიც კლდეებში არიან გამოქვაბულნი. ამ შემთხვევაში პორტ-არტურის ბედი დამოკიდებულია იმაზე, თუ ციხეში რამდენი სურსათი, სამხედრო მასალა და მეციხოვნე ჯარია.

13 ნოემბერს დაწყებულ პორტ-არტურის იერიშის დროს იაპონელებმა უმთავრესი იერიში ჩრდილოეთის ფორტებზედ კი არ მიიტანეს, არამედ რკინის გზის დასავლეთით მდებარე—„სტოლოვია"-ს მთების ფორტებზედ. უმთავრესი იერიში ჩრდილოეთ ფორტებზედ რომ მიეტანათ და ეს ფორტები აეღოთ, ციხის საქმე გათავებული იქნებოდა. ეს გარემოება ორის მოსაზრებით აიხსნება: იაპონელებს ჩრდილოეთ ფორტების (სუნშუნშანისა, ერლუნშანისა და კიკვანშანის) კონტრ-ესკარპები და გლასისები ეჭირათ, მაგრამ თვითონ ფორტების აღებას ძალიან დიდი ზარალი მოჰყვებოდა, რადგან ამ ფორტებს ირგვლივ 6—7 საჟენის სიღრმისა და სიგანის თხრილები აქვს შემოვლებული და თვითონ კედლებიც ძალიან მაღალია. დასავლეთ ფორტების აღება კი შედარებით უფრო ადვილი იყო, რადგან მისასვლელი გზა შედარებით კარგი ჰქონდა. ეს პირველი მოსაზრებაა. მეორე მოსაზრება შემდეგი უნდა იყოს: გენერალ ნოგის ჯარის მოქმედების პირველი და უმნიშვნელოვანესი აზრი ის არის, რომ პორტ-არტურის ესკადრა, რაც შეიძლება, მალე განადგურდეს; ამიტომ გენერალ ნოგისთვის ძალიან საჭირო იყო ისეთ პოზიციის დაჭერა, საიდგანაც პორტ-არტურის შიდა ნავთსადგურში მდგომ გემების დაზიანება შეიძლებოდეს. ამისთვის «სტოლოვია»-ს გორები «დრაკოვონია»-ს გორებზედ უფრო გამოსადეგია, რადგან, ჯერ ერთი «სტოლოვია»-ს გორებზედ ზარბაზნების დადგმა უფრო ადვილია, და მეორეც, «სტოლოვია»-ს გორებიდგან ნავთსადგური კარგად მოსჩანს, «დრაკონოვია»-ს გორიდგან კი არა, რადგან მასსა და ნავთსადგურს შუა «პერეპელინაია»-ს გორა ძევს. ამიტომ პორტ-არტურთან იაპონელების უკანასკნელი გამარჯვება იმდენად საგულისხმიეროა, რამდენადაც საგულისხმიერო იქნება ის ზიანი, რომელსაც იაპონელების ზარბაზნები ახლად აღებულ პოზიციებიდგან პორტ-არტურის ესკადრას მიაყენებენ. ციხის დამცველთათვისაც ციხის პირველ რიგის, 5—6 ვერსის მანძილის დაკარგვა, რასაკვირველია, უმნიშვნელო არ არის. იაპონელების ცნობებიდგან სჩანს, რომ გენერალმა ნოგიმ აიღო მაღალი მთა («ვისოკაია»), 203 მეტრიანი გორა, და მის სამხრეთით მდებარე წითელი (ოკაზამა). ამ ფორტების შუა მდებარე სიმაგრეებიც, უეჭველია, იაპონელებს ჩაუვარდებათ ხელში, რაიც იმით მტკიცდება, რომ მეციხოვნე ჯარმა ანძეშანსა და იძიშანისკენ დაიხია. 203 მეტრიანისა და მის მახლობლად მდებარე მთების აღებას იაპონელებისათვის ის მნიშვნელობა აქვს, რომ ამ მთებიდგან ზარბაზნებით ციხის აღმოსავლეთ ფორტების დაზიანება გვერდიდგან შეიძლება. ფორტს გვერდიდგან ნასროლი ყუმბარა უფრო ძლიერ დააზიანებს, ვიდრე შუბლიდგან ნასროლი, რადგან ფორტები მხოლოდ წინა მხრიდგან არის ძალიან გამაგრებული, გვერდებიდგან კი სუსტია. ამიტომ, უეჭველია, იაპონელები ახლად აღებულ პოზიციებიდგან ზარბაზნებს სადგურს გარდა ციხის ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთ ფორტებსაც დაუშენენ. პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარმა დაკარგულ პოზიციების დასაბრუნებლად 203 მეტრიან გორაზე ათჯერ მიიტანა იერიში და მაინც კიდევ უნდა ეცადოს მის დაბრუნებას ან და იაპონელებს ხელი უნდა შეუშალოს და ახალ პოზიციებზედ ბევრი ზარბაზანი არ უნდა დაადგმევინოს. სტესსელი გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ იაპონელების მიერ აღებულ მთების დაბრუნება პირდაპირის იერიშით შეუძლებელია; სამაგიეროდ, სტესელს შეუძლიან სხვა ღონისძიება იხმაროს: მეციხოვნე ჯარმა იაპონელების ახალ პოზიციას, რაც შეიძლება, ძლიერ უნდა დაუშინოს ზარბაზანი უდიანშანისა, ტაიანკოუსა (სამხრეთით), ანძეშანისა და იძიშანის ფორტებიდგან (აღმოსავლეთიდგან). გენერალ ნოგის სამხედრო მოქმედების განვითარება არტილერიის მომავალ დუელზეა დამოკიდებული. (რ. ვ.).

—

„დეილ მიელ"-ს ტოკიოდგან დეპეშით ატყობინებენ: პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარი ტაიკოუსა, იძეშანისა, ანძეშანისა და აკასაკოს ფორტებიდგან სულ იმის ცდაში იყო, რომ მაღალი მთა და 203 მეტრიანი გორა როგორმე უკანვე დაებრუნებინა, მაგრამ ვერ მოახერხა და ეხლა საბოლოვოდ თავის წინანდელ პოზიციებზედ დაიხია. ამას გარდა, ეს ჯარი ცდილობდა, რომ იაპონელ საინჟინერო ჯარის მუშაობისთვის ხელი შეეშალა, მაგრამ ეს ცდა ეხლა შესუსტდაო. (რ.ვ.).

—

«ნოვოე ვრემია»-ს ლონდონიდგან დეპეშით ატყობინებენ: «იაპონელებმა 203 მეტრიანი გორა ჯერ-ჯერობით განსაკუთრებით პორტ-არტურის ესკადრის დასა-

ზიანებლად გამოიყენეს. საზღვაო საქმის მცოდნე ინგლისელები ამბობენ, რომ უკანასკნელ დროს რუსეთის ფლოტი 203 მეტრიან გორიდგან ნასროლ ყუმბარებისაგან იმდენად დაზიანდა, რომ ნავთსადგურიდგან ზღვაში გასვლა ძალიან გაუჭირდებაო. (ნ. ვ.).

—

**წვრილი ამბები.** ნემიროვიჩ-დანჩენკო «რუს. სლ.»-ის დეპეშით ატყობინებს: იაპონელებს სურსათი და სამხედრო სხვა და სხვა მასალა ავტომილებითა და მატორებითაც მოაქვთ. ჯარში ხმა დადის, ვითომ ამ ახლო ხანში რუსეთის მთავრობა მუკდენის პროვინციაში გენერალ-გუბერნატორს დანიშნავსო.

იმავე გაზეთის მეორე კოსპონდენტი ლოდიჟენსკი იტყობინება: აქ ამბობენ, ვითომ იაპონიის მთავრობას მანჯურიაში 7 მილიონ კაცის გადმოსახლება უნდაო; თუ ეს ხმა გამართლდა იაპონელები პოლიტიკურად ძალიან გაიმარჯვებენ; ჯერ ერთი, იაპონელების უკანვე გადასახლება არას გზით არ შეიძლება და, მეორეც, უეჭველია მანჯურიაში გადმოსახლებული იაპონელები რუსეთის ქვეშევრდომობას არ ისურვებენ. რაც უნდა იყოს, იაპონელები თავიანთ განზრახვას ჩვეულებრივის სიმტკიცით და ენერგიით შეასრულებენო (რ. ს.).

«ნოვ. ვრემია»-ს კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება: ამას წინად მანჯურიის პირველ არმიის უფროსი გენერალი ლინევიჩი ჯარს ათვალიერებდა. იაპონელებმა დაინახეს და საშინელი ზარბაზნის სროლა აუტეხეს. ერთი ყუმბარა ლინევიჩთან ისე ახლო დაეცა, რომ მისი მხლებელი ყაზახი მოჰკლაო (ნ. ვ.)

ტოკიოდგან დეპეშით იტყობინებიან, რომ იაპონიის ესკადრამ პორტ-არტურთან თავი მოიყარაო, მაგრამ, როგორც სჩანს, სტესელი რუსეთის ესკადრას ზღვაში არ უშვებს და გემების მოწყობილება და მეზღვაურები ციხის დასაცავად უნდაო. (ბირ. ვ.).

«ლოკალ ანც.»-ი სწერს: იაპონელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ პორტ-არტურის ესკადრა გაანადგურონ. ტოკიოდგან მოსულ დეპეშებიდგანა სჩანს,— ამბობენ გერმანული გაზეთები,—რომ პორტ-არტურის ესკადრას იაპონელები ყოველ დღე უფრო მეტად და მეტად აზიანებენ. 21 ნოემბერს საღამოზედ ყუმბარებით იაპონელებმა 3 გემი დაამტვრიეს. საზოგადოდ იაპონელები დარწმუნებულნი იარნიან, რომ პორტ-არტურის ესკადრა ან ნავთსადგურში უნდა დაიღუპოს, ანაც ზღვაში გავიდეს და ადმირალ ტოგოს შეებრძოლოსო (რ ვ.).

# ახალი ამბავი

—

**ქალაქის მოურავთა კრების გამო.** 30 ნოემბერს ტფ. ქალ. მოურავის მოადგილემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა მოსკოვის ქალაქის მოურავს თავ. ვ. მ. გოლიცინს: «ტფ. ქალაქის საბჭომ 29 ნოემბერს თავის კრებაზედ ერთხმად დაადგინა, აღძრულ იქმნას შუამდგომლობა ქალაქის მოურავთა კრების მოწვევის თაობაზედ, რასაც პატივისცემით ვაუწყებ თქვენს ბრწყინვალებას».

*** **ტრამვაი ელექტრონით მოძრაობა.** ბელგიის უსახელო საზოგადოების დირექტორმა ბ-ნმა გრიმანისმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ საზოგადოებამ გადასწყვიტა 10 დეკემბრისათვის ტფილისის ზოგიერთ ქუჩებში ელექტრონით აამოძრაონ ტრამვაის ვაგონებიო.

*** **ხოლერა ტფილისში.** ოფიციალურის ცნობით, ტფილისში ხოლერით 30 ნოემბერს ავად გამხდარა ერთი 14 წლის ქალი.

*** **საქართველოს ეგზარხოსმა** მიწერილობა დაუგზავნა სამღვდელოებას უდხო ტომისა და სარწმუნოების კაცთა შემოერთების შესახებ.

*** **ფოსტის უფროსის განკარგულება.** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ სანამ საქართველოს სამხედრო გზაზედ წესიერი მიმოსვლა განახლდებოდეს, რუსეთის ფოსტა ბალაჯარის გზით მოდიოდეს ტფილისსა და სხვა ქალაქებშიო.

*** **გენერალ კოვალიოვის საქმის გარჩევის გამო.** მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ ცოტა ხანებში ტფილისში სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე იმიერ-კასპიის ყაზახთა ბრიგადის უფროსისა და ოლქის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელის გენერალ-მაიორის კოვალიოვისა, რომელსაც შემდეგი ჰბრალდებოდა: გენერალმა კოვალიოვმა რკინის გზის უფროსი ექიმი ზაბუსოვი სახლში დაიბარა და ყაზახებს მათრახებითა და ჯოხებით აცემინა. ამის შესახებ ასხაბადიდგან გაზეთ «რუს»-ს სწერენ: საქმის გარჩევა არაჩვეულებრივს ვითარებაში სწარმოებდა. ჯერ ერთი, საქმე ტფილისში გაირჩა, თუმცა-კი ექიმი ზაბუსოვიცა და მოწმებიც ასხაბადში იყვნენ; მეორე: სასამართლომ არც მომჩივანი და არც მოწმენი არ დაიბარა და ისიც კი არ შეატყობინა, რომ საქმე ასხაბადის მაგივრად ტფილისში ირჩევაო; მესამეც: თუმცა ოფიციალურმა ექსპერტიზამ ორჯელ დაამტკიცა, რომ ექიმისთვის 52-ჯერ დაურტყამთ მათრახი და ჯოხი, მაგრამ სასამართლომ ეს ფაქტი არ მიიღო და დაადგინა, ვითომ ექიმი ნაცემი არ ყოფილიყოს. ამგვარ განსაკუთრებულ ვითარებაში გარჩეულ საქმეს საზოგადოებამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოსო,—სწერს გაზეთის კორესპონდენტი.

*** **ახალი ქართული წიგნები.** რედაქციამ შემდეგი ახალი ქართული წიგნები მიიღო: 1) «ქართულის სიტყვიერების ისტორია», უძველეს დროიდგან მე XVIII საუკ. გასულამდე, პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილისა, გამოცემა წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა, № 65; შეიცავს 600 ზედ მეტს გვერდს და ჰღირს 1 მან. 25 კაპ.; 2) «ქართველ პოეტების რჩეული ლექსები», წიგნი მე-II, მოკლე ბიოგრაფიებითა და სურათებით, გამოცემა წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა, № 72; ამ წიგნში მოთავსებულია შემდეგ ქართველ პოეტთა რჩეული ლექსები: ალექს. ჭავჭავაძისა, ნიკ. ბარათაშვილისა, გიორგი ერისთავისა, გრ. ორბელიანისა, მიხ. თუმანიშვილისა, ივ. კერესელიძისა და ვახ. ორბელიანისა; წიგნი შეიცავს 156 გვერდს და ჰღირს 25 კ. და 2) «ბუს თავგადასავალი», ზღაპარი სენტილერისა (ათის სურათით), თარგმანი სოფიო ციციშვილის ასულისა, გამოცემა «ჯეჯილის» რედაქციისა; წიგნი შეიცავს 23 გვერდს და ჰღირს ერთ აბაზად.

*** **ლექცია საქველ-მოქმედო აზრით.** კვირას, 5 დეკემბერს, საღამოს 8 საათზედ, არტისტიულ საზოგადოების დარბაზში ექიმი ა. ი. ხატისოვი წაიკითხავს ლექციას რუსულს ენაზედ: «ბრძოლა ცხოვრებისათვის», ბუნდოვანის სურათებით. ამ ლექციის წმინდა შემოსავალი გადადებულია იმ თავშესაფარისათვის, რომელსაც აშენებს მასწავლებელ ქალთა საზოგადოება. ბილეთების ფასი ლექციაზე ყველასთვის ხელ მისაწვდენელია—30 კ.— ორ მანეთამდის.

*** **12 კაცისა და ბძლემების დაღუპვა ნამქერში.** ბორჩალოს მაზრიდგან «ცნობ. ფურც.»-ს ატყობინებენ, რომ 22 ნოემბ. სოფ. არაბა-ტალასთან (ყარაჩაღი) გზად მიმავალი 12 კაცი თავიანთ ბძლემებიანურთ დაუღუპავს ნამქერს. დაღუპულთა გვამები მესამე დღეს ძლივს უპოვნიათ.

*** **მგელის ჩვეულების შედეგი.** აბაშის საზოგადოებიდგან (ქუთ. მაზრა) გვატყობინებენ შემდეგს: სოფ. კალაგაონის (ოზურგეთ. მაზრაშია, აბაშის საზოგადოებას ზედვე აკრავს). მცხოვრებს ჩინო ჭკუასელს ძღვენი გაუგზავნია აბაშის საზოგადოების სოფ. ნიგოიხღვაში თავისის შვილის 12—13 წლის ვაჟის ხელით, შეუკაზმავს ცხენი და მიუცია ყმაწვილისათვის, ხოლო მშობლები უკან ფეხით გაჰყოლიან. როდესაც ბავშვი ნიგოიხღვიდან დაბრუნებულა და აბაშის საზოგ. სოფ. გორმაღალს ჩამოუღწევია, სადაც სალ კლდეზეა გზა გაყვანილი, მედავითნის ბ-ნ ნიკო შანიძის ეზოსთან ცხენს გადმოუგდია ბავშვი, რომელსაც ცალი ფეხი უნაგირის აბჟანდში დარჩენია, და კარგა მანძილზედ გაუთრევია. ბავშვი საშინლად დასახიჩრებულა, მაგრამ ცოტათი მაინც ჰფეთქავდა. შემთხვევით ამ ამბავს შესწრებია ნიგოიხღვის სამრევლო სკოლის მასწავლებელი ბ-ნი მელქ. გ. თევზაძე, რომელსაც ყოველივე საშუალება უხმარია, რომ საბრალო სულთ-მობრძავი ბავშვი სიკვდილის კლანჭებისაგან ეხსნა, მაგრამ შრომა მეცადინეობა ამაოდ ჩაუვლია და საბრალოს იქვე სული განუტევებია. საჭიროა და აუცილებლად საჭიროა, რომ ერთხელ და სამუდამოდ ამ ნაირ წვეულება-ლხინისა და ერთმანერთთან ძღვენის მიტან-მოტანას ბოლო მოეღოს, თორემ ამნაირი შემთხვევა პირველი მაგალითი არ არის; ვინ იცის, რამდენი ახალგაზდა გამოსალმებია წუთი-სოფელს თუ ცხენიდგან გადმოვარდნით, თუ თოფ-რევოლვერითა და ხანჯალ-ლეკურით; ამნაირს შემთხვევაში მარცხი ყოველთვის მოსალოდნელია და, რაც უფრო ადრე მოისპობა ეს ჩვეულება, მით უფრო კარგია.

*** **მნათის არჩევნები.** რადგან წარსულს კვირას დანიშნული არჩევანი ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მნათისა არ შესდგა, ამიტომ კრება მრევლისა გადაიდო 5 დეკემბრისათვის მნათის ასარჩევად.

## ქუთაისის ახალი ამბები

—

**საურთიერთო ნდობის საზოგად. წევრთა კრება.** 27 და 28 ნოემბერს ქალაქის გამგეობის დარბაზში კრება ჰქონდა ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთ. კრების საგანი იყო ღონისძიებათა გამოძებნა ბანკის ეხლანდელ გაჭირვებულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. საზოგადოება, როგორც ეტყობა, ძლიერ მონდომებულია დაეხმაროს ბანკს და როგორმე შეავსოს რევიზორის მიერ აღნიშნული ზარალი. კრებამ საჭიროდ სცნო ბანკის ეხლანდელ გამგეობის გადაყენება, თუ ვინიცობაა თავის ნებით არ გადადგება. მთავრობის რევიზორის ანგარიშის გაცნობის შემდეგ, კრებამ ამოარჩია კომიტეტი, რომელიც სამის ჯგუფისაგან შესდგება. პირველ ჯგუფს შეადგენენ მართლმადიდებელი ვაჭრები: ი. ალიბეგოვი, პ. ი. გოგიელოვი, ნ. ბარაბაძე, ს. ი. ქეიშვილი, ბ. გაბუნია, ნ. მ. ჯანელიძე, გ. ი. კემულარია და ს. გ. ბოკერია; მეორე ჯგუფში აირჩიეს ებრაელი ვაჭრები: მ. რიჟინაშვილი, მ. ვოლოხი, შეხტმანი, ა. რიჟინაშვილი და ა. ელიგულაშვილი; მესამე ჯგუფში, რომელსაც ინტელიგენტები შეადგენენ, არჩეულ იქნენ: მ. ი. დარახველიძე, დ. ბ. კვირკველია, ს. დ. ჯაფარიძე, დ. ბ. მდივანი, ვ. ი. ჭილაძე და ა. მ. კრინიცკი. კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს მ. ე. დარახველიძე. შეერთებულ კომიტეტს დაევალა: ა) დაასახელოს გამგეობის წევრებად ამოსარჩევი კანდიდატები და წარუდგინოს საზოგადო კრებას 5 დეკემბერს; ბ) გამოძებნოს საშუალება, რომლითაც შესაძლებელი იქმნება რევიზორის მიერ აღნიშნულის ზარალის დაფარვა; გ) გამოარკვიოს მიზეზები, თუ რამ გამოიწვია ბანკის ასე საგრძნობელი ზარალი და გამგეობას პასუხი აგებინოს საზოგადოების წინაშე; დ) სთხოვოს ბანკის საბჭოს თავმჯდომარეს ი. გ. ანჯაფარიძეს, რომ გააწესრიგოს ვექილობათა საქმე; ე) მასვე სთხოვოს, რომ მომავალ საგანგებო კრებაზე მხოლოდ ისეთებს მიეცეს დასწრების ნება, რომელთაც საარჩევნო ხმა აქვთ. კომიტეტმა საგანგებო კრებამდის ორჯერ კიდევ უნდა მოახდინოს კერძო კრება, რომელსაც უნდა წარუდგინოს თავის მოქმედების შედეგი. (ც. ფ.).

# საქართველო

—

**ქ. თელავი. ჯარში გაწვეულნი.** თელავის მაზრიდამ გაწვეულნი სამხედრო ბევრის მოსახლეთ დიდი ხანია გამოცხადდნენ და გაჰგზავნეს კიდეც თავ-თავიანთ ადგილას. თელავის მაზრიდამ გაჰგზავნეს სევასტოპოლში, ალექსანდროპოლში და ტფილისში. მხოლოდ სიღნაღის მაზრიდამ ნოემბრის ნახევარში გამოცხადდნენ თელავის სამხედრო უფროსთან. ამათ კი წილს შორი ადგილები ჰხვდათ წილად და უკვე გაამგზავრეს დანიშნულ ადგილებში: ხარკოვში, დუბნოში, სევასტოპოლში და გროზნაში.

**დროებით გამხიარულება.** ამათ თელავში ყოფნის დროს თელავმა თითქოს ძილისაგან გამოიღვიძა. ქუჩები ახმაურდა, აჟიჟინდა და გამხიარულდა. დადიოდნენ ჯგუფ-ჯგუფად სიმღერით, თუმცა ბევრს არ ემღეროდა და თავის ჯავრს სხვაზე იყრიდა, გამვლელ-გამომვლელს აღარავის ასვენებდნენ.

**ისევ ძილი.** მაგრამ დიდხას არ გასტანა ამ გამოღვიძებამ, სალდათები გაისტუმრეს და თელავმაც ჩვეულებრივ ჩათვლიმა. ქუჩები დაცარიელდა, ფეხის ხმა მისწყდა, 7 საათიდან ხომ თელავის ქუჩებში სამარისებური სიჩუმე სუფევს. გამვლელ-გამომვლელი იშვიათია. ან ვინ გაჰბედავს ამისთანა ბნელ ღამეში გარეთ გამოსვლას? სხედან ყველანი შინ მოწყენილნი, ვითარაცა უდაბნოსა შინა. წინად, საღამ-საღამოთი გაზეთებით მაინც ირთობდნენ თავს, ან ფოსტაში მიდიოდნენ მისთვის, მაგრამ ეხლა ფოსტაშიაც გზა შეეკრათ, სწორედ მძლის ყივილის დროს მოდიან დილიჟნები და მოაქვთ ფოსტა კორესპონდენციებით.

**დილიჟნების დაგვიანება.** წინად, როცა გომბორის გზა-ტკეცილი არ იყო გაკეთებული და ცხენით და ქვეითათ დადიოდნენ, დაიჭერდნენ თათრის ცხენებს, შესხდებოდნენ ფალანზე (ფალანს თათრები უნაგირის მაგიერ ხმარობენ), აჰკიდებდნენ ბარგსა, გაუდგებოდნენ გომბორის გზას და თუ იმავ დღეს არა, მეორე დღეს მაინც თავისუფლათ ტფილისში ჩადიოდნენ. ეხლა თელაველებს იმის მეტი აღარა დარჩომიათ რა, რომ ისევ ისე იმგზავრონ თათრის ცხენებით, როგორც ამ 20—30 წლის წინად. სწორედ შუა ღამისას მოდიან ამ ჟამათ დილიჟნები. ყოვლად სამჯობინოა, რომ მგზავრთათვისაც და თვით დილიჟნის პატრონისათვისაც ორი დღე ატარონ, ვიდრე ღამე სიარული და შეწუხება.

**გაზეთების მიღება.** წინად, როცა გაზეთებს მაგრე რიგათ არავინ აქცევდა ყურადღებას, ყოველთვის მეორე დღეს ვიღებდით ხოლმე. ეხლა-კი, როცა ყველა, ეროვნების, წოდების და ხელობის განურჩევლად, ასე გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს და ინტერესებით ომის ამბები—მესამე დღეს ძლივს-ღა კითხულობენ დაგვიანებულ დილიჟანების მიზეზით; წესდების ძალით კი, დილიჟანი, რომელზედაც ფოსტა მოდის საღამოს 5—6 საათზე თელავში უნდა იყოს, მაგრამ ვინ უყურებს? თელავში კანონსაც ძალა არა ჰქონია თურმე.

ჩვენ ავტომობილის იმედი გვქონდა.

---

# ფელეტონი

—

## სოფლის გმირები ეგ. ნინოშვილისა.

— ჩვენს ახალგაზდა მწერალთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს განსვენებულ ეგ. ნინოშვილს. ყოველი მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა ნამდვილი სურათია, ჩვენის ცხოვრებისა. ნივთიერად დაქვეითებულმა, სილატაკეში მყოფმა, ცხოვრების ყოველისავე სისასტიკის გამონაცადმა ეგნატემ ნათლად დაასურათა ჩვენთა მოძმეთა დაუკანავებული და პირუტყვული ცხოვრება; მან ამოიღო პირველად ხმა ხალხის მტანჯველთა წინააღმდეგ; მან დაჰგმო და ანალიზის ქარ-ცეცხლში გაატარა ჩვენის ტარიელ მკლავამძეების უგვანო და უნამუსო საქციელი, რისთვისაც ზოგიერთი მუშტამძეები სიკვდილსაც-კი ემუქრებოდნენ განსვენებულს.

— დიაღ, ეგ. ნინოშვილი არის მწერალი, ყოველ ბოროტების წინააღმდეგ გამკლავებული და მებრძოლი, ყოველ უსვინიდისობის დამგმობი, ყოველ კარგის მაქებარი და მადიდებელი! ყველა მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა საყურადღებო და საგულისხმოა ქართველ მკითხველთათვის, მაგრამ დღეს მისი ყურადღება მინდა მივაქციო ეგ. ნინოშვილის «სოფლის გმირებზედ», რომელიც დაიბეჭდა საყვარელ მწერლის სიკვდილის შემდეგ გაზეთ «კვალში». ეს მოთხრობა, როგორც, «კვალის» რედაქციამ აღიარა, განსვენებულ ეგნატეს დარჩენია, მსგავსად სხვა მოთხრობებისა, უდროვო სიკვდილის გამო დაუსრულებელი. «სოფლის გმირები»-ს სათაურიც გვეუბნება, რომ განსვენებულ ეგნატეს თავის მოთხრობაში რამოდენიმე სოფლის გმირი უნდა დაეხატნა, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა მადლიანი კალამი ნინოშვილისა მხოლოდ ერთ სოფლის გმირ მანუჩარ არწივაძეზედ შეაჩერა.

მანუჩარ არწივაძე შთამომავლობით თავადია, დინჯი, მოხდენილი ვაჟკაცია. უყვარს ხმალ-ხანჯალი, კოხტად ჩაცმა-დახურვა; საუცხოვო მოთამაშეა ლეკურისა; რუსული ცოტათი იცის მანუჩარმა, რადგანაც დიდი სწავლა არ მიუღია; მასწავლებლის გალახვისთვის გამოაგდეს გიმნაზიის პირველ კლასიდან, სამაგიეროდ ქართული კარგად იცის, საქართველოს ისტორია ზედ მიწევნით შესწავლილი აქვს, კარგად იცის, აგრეთვე სღვთო წერილი, ვინაიდგან ამაში ჰქონდა ბავშვობიდგანვე ჭიპი მოჭრილი.

ახლანდელი წესები არ მოსწონს ხანში შესულ მანუჩარს და მისტირის წინაპართა ცხოვრებას და მაშინდელს წესებს.

მანუჩარი უკმაყოფილოა ბატონყმობის გადავარდნისათვის. თუმც ერთ დროს ახალგაზდობაში მანუჩარი წინააღმდეგი იყო ბატონ-ყმობისა სხვის წამხედურობით, მაგრამ, რა შეიცვალა ბატონ-ყმობა და მანუჩარს გოგო-ბიჭები შემოეცალნენ, რომლებიც მზა მზარეულად ინახავდენ, მას შემდეგ დასევდიანდა. სევდას სევდა მოემატა, როდესაც მანუჩარის მამა ბატონ-ყმობის გადავარდნის სევდა-მწუხარებამ იმსხვერპლა.—«მეფედ დაბადებდებული ჩემის ყმის ტოლად ვკვდებიო», გაიძახოდა სიკვდილის წინ მანუჩარის მამა.

მანუჩარს სამართლიანობა უსამართლოთ ეჩვენება; ვერ შერიგებია ახალ ცხოვრებას. «ეს არაა რიგი და წესი, ჩემი წინაპარი მეფეს უწევდა ტოლობას, და ახლა ჩემი შინა-ყმის შვილი ჩემ გვერდით დაჯდომას აპირებსო!»,—გაიძახოდა არწივაძე.—ერთხელ არწივაძე ერთმა კნეინამ დაჰპატიჟა სადილად; არწივაძე კნეინასთან მობრძანდა, მაგრამ რა გლეხკაცი დაინახა სტუმრად კნეინასთან, არწივაძემ მყისვე მიატოვა კნეინას ოჯახობა და წავიდა: «ღმერთო, მომკალი. გლეხ კაცის გვერდით როგორ დავჯდებიო!—

რაც უფრო მოხუცდა მანუჩარი, მით უფრო სასტიკი და მოუთმენელი შეიქმნა ზნეობა-ჩვეულების შესახებ.

— იმ კრებაში, სადაც თავადი მანუჩარ ბრძანდება, ვერც ერთი გლეხი ვინც უნდა იყვეს,—ნასწავლი, მწერალი, პოეტი, სულ ერთია,—რომლის მამა შინაყმად ყოფილა თავად არწივაძის, ან მისი აზნაურის, ისე ვერ მივა, რომ მანუჩარს ქუდი არ მოუხადოს და მძიმედ თავი არ დაუკრას.—მანუჩარი სასტიკია, გლეხის პირადობას არ სცემს პატივს; გლეხი მხოლოდ „მონათ“ ჰყავს დასახული, და თუ რამ აწყენინა გლეხმა და მის-წინ ღირსეულად არ მოიხარა თავი, მზად არის გალანძღოს, შეურაცხ-ჰყოს გლეხის პირადობა, და თუ მან თავისის პირადობის დასაცველად თავადს ხმა გასცა, მყისვე ხანჯალზედ იტაცებს ხელს, და მუქარით ეუბნება, გლეხს: «ხუარ გინდა, შეწუწკო, ლუკმა-ლუკმად გაქციო“! სასტიკად დევნის მანუჩარი მარხვის შემშლელთ; იშვიათია იმ კრებიდგან, სადაც თავადი იმყოფება, მარხვის შემშლელი, თუ ის გლეხია, გაულახველი გადარჩეს. თითონ მანუჩარი არაფრის გულისათვის არ შესცვლის მარხვას. ზნეობრივ მოვალეობად მიაჩნია გაავრცელოს ხალხში ზნეობა, რომელიც, მისის ფიქრით, აი რა არის: «უსაზღვრო მორჩილება გლეხთაგან დიდრონ გვარის და უფროსების წინაშე, უსაზღვრო მორჩილება ყმაწვილ კაცთაგან ხანში შესულის წინაშე, უსაზღვრო მორჩილება ცოლებისა ქმრების წინაშე, უქმე დღეს ეკკლესიაზე სიარული, უქმეების და მარხვების შეუშლებლობა, გლეხთათვის მოუსვენარი შრომა, ძველებურ ტანისამოსის ხელ-ახლავ შემოღება და სხვა ამისთანა. გლეხთათვის სწავლა-განათლება სრულიად მეტად და მავნებლად მიაჩნია მანუჩარს. თავის აზრის დასამტკიცებლად მოჰყავს «ტექსტები» ხან «ვეფხის ტყაოსნიდგან», ხან საღვთო წერილიდგან, და ხან სხვა ძველ წიგნებიდგან. ხშირად იმეორებს „რუსთაველის“ სიტყვებს: «სჯობს ყოველთა მოყვარულთა პატრონ-ყმანი მოყვარულნი» და ვიღაცას გამოთქმულ შაირს:

> დროსა შეგვსწვრ ასეთსა,
> გულს ცეცხლი ჩამიგარდესა,
> ალმასით სწედენ ვირებსა,
> აკრავენ ოქროს ნალებსა,
> ბედაურ ცხენებს კურტან ქვეშ
> სცვეთენ, ვინ შეიბრალებსა!?».

მანუჩარი ასე ხსნის შაირის შინაარს: ვირები გლეხკაცობაა, ალმასი—თავისუფლება, ბედაური—თავად-აზნაურობა, კურტან ქვეშ გაცვეთა—თავად-აზნაურობის უშინაყმოდ ცხოვრება.

მართლაც, ცუდად მიდის მანუჩარის საქმე უშინაყმოდ, მარჩენალი ყმები აღარა ჰყავს მანუჩარს, ბატონურ ცხოვრებას დაჩვეულმა მანუჩარმა გაჰფლანგა საცხოვრებელი; მანეთის რამეს რომ იყიდიდა ათ შაურს ზედ მეტს აძლევდა, მის გაყიდულ ადგილებზედ გამოჰქიმეს ოდა-სარაიები, რაიცა გულს უკლავს მანუჩარს. ახლა შარებს უდებს გლეხებს, უნდა დაიბრუნოს გაყიდული ადგილები, უჩივის, მა-

მოუთმენლად მოველოდით და ვიძახდით. აი, საცაა დაიწყებს სიარულსა და გვიხსნის ამ გაჭირვებიდან, მაგრამ ლამის არის ამ ავტომობილის ხილვაზედაც იმედი ისე გაცრუვდეს, როგორც კახეთში რკინის გზის ლიანდაგის გამოყვანაზე.

შიდა კახელი.

## ქართული სიბრძნე.

თქმულა, სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა. (შოთა რუსთველი).

ენა, უკლიტოდ მორბედი, ჭირია ულხინებელი (ვახტანგ VI).

მამულის დახსნის არ მდომი თავისა თავის მგმობია; ძმანო! შინ ულღით სიცოცხლეს, ომში სიკვდილი სჯობია. (ილია ჭავჭავაძე).

ზურგს უკან ყველა ლაღადებს, პირში-კი მთქმელი ძვირია. (აკაკი წერეთელი)

ბრძოლად კაცს უნდა: ფარხმალი, გული და გამოცდილება! (ხალხური).

# რუსეთი

პეტერბურგის ნაფიც ვექილთა კრების მიერ არჩეულმა დეპუტაციამ, რომელიც უნდა წარსდგომოდა შინაგან საქმეთა მინისტრს სვიატოპოლკ-მირსკის კრების რეზოლიუციის გადასაცემად 26 ნოემბერს, დეპეშა მიიღო მოსკოვის ნაფიც ვექილთა დეპუტაციის მიერ, რომელშიაც სთხოვს, მინისტრს ერთად წარვუდგეთო. პეტერბურგის დეპუტაციამ დაუცადა მოსკოვისას. (რ. ვ.).

— ხერსონის საერობო კრებამ განიხილა ამ დღეებში მოხსენება საგუბერნიო გამგეობისა ოდესის საერობო სკოლებიდგან შტუნდისტთა შვილების დათხოვნის შესახებ. კრებამ დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რომ მან გააუქმოს თვისი განკარგულება, რომლის წყალობითაც შტუნდისტთა შვილები იძულებულნი არიან პირველ-დაწყებით სკოლებშიაც ვერ მიიღონ სწავლა. თუ მინისტრმა კრების შუამდგომლობა არ შეიწნარა, მაშინ უმართებულესს სენატში იქმნება აღძრული საჩივარი,

— ხარკოვის საბეითალო ინსტიტუტში ასეთი განცხადება გამოუკიდნია სასწავლებლის მთავრობას: «კანონის ძალით, სტუდენტთა კრებები აკრძალულია. ბევრი სტუდენტთაგანი კი კრებების გამართვით აბრკოლებენ სწავლის ცხოვრების სწორე მიმდინარეობას და არ ექვემდებარებიან კანონებს; ამიტომ მოვალედ ვრაცხ თავს, ბ-ნო სტუდენტო წინადვე ვაცნობო, რომ თუ კიდევ იქმნება სტუდენტთა მიერ გამართული კრებები, იძულებული ვიქმნები მივმართო სასტიკ ღონისძიებათ და მოვიხმო პოლიცია». განცხადება გამოუკიდნიათ აგრეთვე ხარკოვის უნივერსიტეტშიაც. რექტორი მიჰმართავს სტუდენტებს: უნივერსიტეტში ვრცელდება მთავრობის საწინააღმდეგო ბროშურები, რაც კანონით დიდს ბოროტ-მოქმედებად ითვლება, ამიტომ გთხოვთ სასწავლებელში ამგვარ ბროშურების გავრცელებას თავი გაანებოთო. (რ. ვ.).

— „რუს. ვედ."-ის სიტყვით, სარატოვის გაზეთებში ადგილობრივ გუბერნატორს შემდეგი ბრძანება დაუბეჭდია: «ჩემის მოადგილისა და ჩემ მიერ 1903 წ. 19 აპრილს გამოცემულ დადგენილებათა ძალით, აკრძალულია ყოველ გვარი კრებები მთავრობის მიერ ნება-დაურთველად; ამასთანავე,—ნათქვამია იქვე,— დამნაშავენი ან ციხეში იქმნებიან დაპატიმრებულნი სამის თვით, ან 500 მანეთი ჯარიმა გადახდებათო. ამ დღეებში კი ორჯელ იქმნა დარღვეული ეს დადგენილება მით, რომ ორჯელ გაიმართა ნება-დაურთველი კრებები საზოგადო შენობებში იმათგან, რომელთაც წინადვე მოელაპარაკნათ და კრებაზე იხილავდნენ იმ საგნებს, რომლის განხილვაც მათი საქმე არ არის. პოლიციელთ წინადადება ვაძლევ, კანონიერი ღონისძიებანი მიიღონ დამნაშავეთა წინააღმდეგ. მოვაგონებ სარატოვის მცხოვრებთ, რომ კანონის თანახმად იმოქმედონ».

— სარატოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, დანიშნული პირველ დეკემბრისათვის, გაუქმებულ იქმნა. გაუქმებულ იქმნა აგრეთვე სარატოვის გუბერნიის წინამძღოლთა და დეპუტატთა კრება, დანიშნული 29 ნოემბრისათვის. (რ. ვ.).

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

სენატორს პოლოვცევს დაუთვალიერებია ამ 25 წლის წინად კიევის და ჩერნიგოვის გუბერნიები და სარევიზიო ანგარიშში შემდეგი სასაცილო ამბავი ჩაურთავს: „მეხუთე სტოლს საგუბერნიო მმართველობისას გაუგზავნია იმავე მმართველობას მეოთხე სტოლისთვის ქაღალდი, იგზავნება ამ ქაღალდთან ერთად საქმე ამა და ამ მოხელის ბოროტ-მოქმედებისაო. ოთხ თვეს უკან, მეოთხე სტოლს მიუწერია პასუხად მეხუთესათვის, ქაღალდი მოგვივიდა, საქმე არ მოგსვლიაო. გავიდა ხუთი თვე და მხოლოდ მაშინ მიუგზავნია მეხუთე სტოლს მეოთხესათვის თვით საქმე''.

ეს ამბავი მოჰყავს ,,იურიდ, გაზეთს'' და თან დასძენს:

25 წელიწადია მას უკან, მაგრამ, სამწუხაროდ, ზემოხსენებულისთანა კურიოზებს დღესაც არ დაუკარგავთ თვისი სამწუხარო მნიშვნელობა. დღესაც თავისი ძალა აქვს და გვიხატავს სწორედ იმ ბოროტებას, რომლისგანაც განთავისუფლებისათვისაც სცდილობს ეს ამოდენი ჭკვიანი და ნიჭიერი ხალხი ჩვენს სამშობლოში, იღვწვის გამწარებით ეს ამოდენი გუნდი თავიანთ მშობელ ქვეყნისათვის მწუხარეთა და მგლოვარეთა!.. დასავლეთ ევროპაში პოლიტიკური და საზოგადო ცხოვრება სდუღს და გადმოდის, ჩვენში კი სწვეთავს ზანტად მღვრივე წვეთ-წვეთობით იმ ქაღალდებ შორის, იმ «ოტნოშენიებსა», «პრედსტავლენიებსა» და «სოობშჩენიების» დასტებ ქვეშ, რომელსაც ბბ-ნი მოხელეთა მოღვაწეობა ეწოდება. საშინელებაა და უღვლად გულ სტკენია ყოველი ფიქრი იმაზედ, თუ რამდენი ბოროტებაა, რამდენი უბედურებაა ასეთი უგუნური დროს დაკარგვა რუსეთისათვის! ის-კი არ არის სამწუხარო, რომ არიან უნიჭო მოხელენი, რომელნიც მთელს თვისს სახელმწიფო მოღვაწეობასა და მუშაობას მხოლოდ «ოტნოშენიების» წერით ჰზომავენ: ასეთნი მოხელენი ყოველთვის ყოფილან და კვლავაც იქნებიან. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ამ «მოღვაწეთა» ხელის-უფლების ქვეშაა ყოველი, ვისაც კი შეუძლიან და უნარი აქვს ადამიანურად იაზროს და იმსჯელობოს, გულით და სულით უყვარდეს სამშობლო და ნიჭიერად ემსახუროს მის განახლებას, აღორძინებას. სამწუხარო ის არის, რომ ოღონდ-კი «ქაღალდი» დაიწეროს და უკვე ჩაწყვეტილია, ჩახშობილია ის ხმა, რომელსაც შეეძლო გაეღვიძებინა მთვლემარე სვინიდისი!..

ბოლოს გაზეთი ასეთს მწარე აზრს დაასკვნის:

მოხელეს გულ-დამშვიდებით უჭირავს ჩვენში პირველი ადგილი, ხოლო მხურვალე მამულიშვილი, მოაზრე ანუ საზოგადო მოღვაწე ისეა მიჩნეული, როგორც ვიგინდარა, აბეზარა, უსიამოვნო და თავიდან ადრე და მალე მოსაშორებელი. ბოლოს ისე გამოდის, თითქო რუსეთი არსებობს მოხელეთათვის და არა მოხელე რუსეთისათვის.

რას იტყვის მომავალი თაობაო?—კითხულობს გაზეთი და ასეთს პასუხს იძლევა:

ბოლოს ხომ ახალი თაობანი დაიჭერენ ჩვენს ადგილს და მწარედ გვისაყვედურებენ, რომ შეუმუშავებელი დაგვტოვეთ ის მამული, რომელიც უხვს მოსავალს მოგვცემდაო. საყვედურს შემოგვითვლიან, ხელ-მოკლენი და მუქთა-ხორანი ჰყოფილხართო. არც კი იკითხამენ და რომ იკითხონ, ვერც იპოვიან ისეთს გარემოებას, რომელსაც შეეძლოს ჩვენი გამართლება, ჩვენთა ცოდვათა შემსუბუქება. ცხადია, რომ თუ გვინდა ასეთი საყვედური ავიცილოთ შვილთა და შვილი-შვილთაგან, უნდა გაფაციცებით ვიმხნეოთ და ენერგიულის გამრჯელობით, დიდის დვაწლ-მოსილებით გავაძლიეროთ, განვავითაროთ ჩვენის საზოგადოების ცნობიერება.

# თეატრი და ხელოვნება

მერვე ქართული წარმოდგენა. ვლ. ალექსი-მესხიშვილის ავადმყოფობის გამო სამშაბათს, 1 დეკემბერს, წარმოსადგენად დანიშნული პიესა შეცვლილი იყო და «ურიელ-აკოსტას» ნაცვლად წარმოადგინეს «ფული და ხარისხი», კომ. აზიანისა და ვოდევილი «თავის ბრალია», ვ. გუნიასი,

უიმისოდაც დამფრთხალი საზოგადოება ამ გარემოებამ უფრო დააფრთხო და ამ საღამოს მაყურებელთა თითებზედ ჩამოთვლა შეიძლებოდა, ისე ცოტა ხალხი იყო თეატრში.

წარმოდგენით კარგად იყო წარმოდგენილი ორივე პიესა.

ვ. აბაშიძე, ნ. გაბუნია, ტასო აბაშიძე კ. შათირიშვილი, ი. ივანიძე, ს. სვიმონიძე—ყველა ამათ ყოველთვის შეუძლიანთ, როცა კი მოისურვებენ, წარმოდგენას ელფერი და სიცოცხლე მისცენ. ვ. გუნიას გარდა ვოდევილში ძრიელ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ყმაწვილმა მსახიობმა ქალმა ო. ლეჟავამ, რომლისთვისაც, სჩანს, ზეცას თავისი ნაპერწკალი არ დაუშურებია და თუ შრომასა და მეცადინეობას არ დაიზარებს ყმაწვილი მსახიობი-ქალი, შეიძლება ეს ნაპერწკალი ცეცხლად იქცეს, რომელიც სამშობლო სცენას გაათბობს და ანუგეშებს.

### ქუთაისის თეატრი

კვირას, 28 ნოემბერს, ქუთაისის ქართულ დრამატიულ დასმა, ვლ. ალექ.-მესხიშვილის გამგეობითა და მონაწილეობით წარმოადგინა პირველად ახალი პიესა «ფულის ძალა», თხუზულება მირბოსი, თარგმანი თ. შველიძისა.

ამ პიესის შესახებ ბევრი რამ კარგი გვესმოდა, ბევრსაც მოველოდით და მისი სათაურიც ბევრს გვეუბნებოდა იმის შესახებ, თუ რამდენად თანამედროვე შინაარსის და ღირსების იქნებოდა იგი. მაგრამ, საუბედუროდ, სცენაზე იმის ჭესამედი შთაბეჭდილებაც არ მიგვიღია, რასაც მოველოდით. არ მიგვიღია მიტომ, რომ თითქმის ყველა, გარდა ისიდორ ლეშასი (ვლ. მესხიშვილი) ან თითონ როლები იყო უფერული და ზედ-მეტი პიესაში, ან და მათი აღმსრულებელნი. რის ბრალი იყო ეს—პიესის ავტორისა, მთარგმნელისა თუ დამდგმელისა—ამისი თქმა ჩემთვის ძნელია, რადგან პიესა ჩვენ ხელთ არ არის და მისი ღირსება-ნაკლულევანების ჩვენება იმდენად შეგვიძლია, რამდენადაც იგი სცენაზე დადგმული ვნახეთ...

უმთავრესი როლი პიესაში ისიდორ ლეშას როლია, რომელიც სავსებით დაგვიხატა ბ. ვლ. მესხიშვილმა, რომელსაც შესანიშნავი გრიმიც ჰქონდა და მისი ნამდვილი ბურჟუაზული ქცევა-მოქმედებაც ხელს უწყობდა მის გონიერ და შეგნებულ თამაშს...

ჟერმენ ლეშას როლში ქ. ჩხეიძე ვერ იყო ბუნებრივი და არ გვაგონებდა მის გრძნობით სავსე, გონიერს თამაშს... რაღაც აკლდა მის თამაშს.. ვგონებ თითონ როლის უფერულობა *). ასეთივე გახლდათ დედა მისი, ქ-ნი ლეშა (ქ. გამყრელიძე). ამასაც აკლდა მშობლიური სითბო, დედა-შვილური სიყვარული, რომელიც უფრო თვალ-საჩინოთ გამოიჩინა ჟერმენის ოჯახიდან გაქცევის დროს... ეს სცენა ჩინებული სცენაა პიესაში და უშთაბეჭდილოდ კი ჩაიარა. ლიუსიენ გარსოს—ქიმიკოსის (ბ. თუთბერიძე) როლი უფერული როლია პიესაში და, რაც კი შეიძლებოდა, მოთამაშეს არ დაუკარგავს მისთვის ელფერი და შესაფერად ჩაატარა, თუმცა კი არაფერი შთაბეჭდილება არ მოუხდენია და, ჩემის აზრით, არც შეეძლო, რადგან არაფერიც არ ჰქონია სალაპარაკო... ეს ითქმის ყველა დანარჩენ მოთამაშეებზედაც. თითქმის ესენი ისე მკრთალნი და უმნიშვნელონი იყვნენ უმთავრეს როლის გარშემო, რომ იფიქრებდით, ავტორმა რათ შეიწუხა თავი მათის შექმნითაო.

კარგის, მოხდენილის გრიმით იყო ბ. აწყურელი მარკიზის როლში, კარგად დაგვიხატა ეს ტიპი... მაგრამ ეს კიდევ უნდა ვსთქვათ, რომ მისი ცოცხალი ბუნება, მკვირცხლი იუმორი ცოდვა კია, რომ ამ გვარ ენაჩაკმენდილ და უძრავ როლებში იმალებოდეს..

უფროს მებაღის როლში ბ. გრ. ჩარკვიანი ჩინებული იყო, რომ თვითვეულ სიტყვის ან ფრაზის შემდეგ სულ მუდამ «ქალბატონო»-ს განმეორებით არ შევეწუხებიეთ...

ელექტრო-ტეხნიკოსები გრუგი (ზარდალიშვილი) და ფინკი (ჯვარისელი), რამდენადაც ჩვენ სცენიდგან შევნიშნეთ, საქმის კაცები არ არიან. ისინი უფრო აფერისტებს წააგვანან...

ეს როლები ორივე უფერულია და თითქმის მეტადაც გვეჩნეოდა სცენაზე.

რაც შეეხება თარგმნის ენას—ძლიერ სუსტია, სავსეა რუსიციზმებით და მოუხერხებელ ფრაზებით. მაგალ, რა ქართულია ეს: «თაგვები ჰყივიან ჯიბეში». თაგვები წრიპინებენ და არა ჰყივიან. «მდიდრები ღარიბებს ქურდავენ». «არ იცის მამამ დილას რა გააკეთა და საღამოს რას იზამს». იზამს—პირდაპირ რუსულ «СДѢЛАЕТЪ»-იდან არის ნათარგმნი. ეს სიტყვა ჩვენს ენაზე ცუდ-ხმოვანია და მთარგმნელი ამას ყოველთვის უნდა ერიდოს. შეიძლება ამის მაგიერ სიტყვა რას «გააკეთებს» ეხმარა, რომელიც იმავე აზრს გამოხატავს და უფრო კეთილ-სასმენელია... «ეს სახლი მძიმეთ მაწევსო». აქ ის აზრი კი არ არის, რომ მართლა სახლი ან შენობა აწვეს მას და აწუხებდეს, ღმერთმა ნუ ჰქნას! შენობა რომ დასწოლოდა, ხომ სულსაც ამოართმევდა, მაგრამ აქ ის აზრია, რომ ახალგაზდა ქალს ჟერმენ ლეშას მამის ოჯახი და იქ ცხოვრება ვერ აუტანია და იქ ცხოვრება ეძნელება....

*) ჩვენ ბ-ნ თარხანის შენიშვნას ნ. ჩხეიძის შესახებ არ ვეთანხმებით, რადგან ნ. ჩხეიძის ქალმა ჟერმენის როლი ტფილისში საუცხოვოდ წარმოადგინა და თითონ როლიც ჟერმენისა ძალზე ფეროვანია. რედ.

თუმცა ცუდი ამინდი იყო, მაგრამ წარმოდგენას საზოგადოება მაინც საკმარისად დაესწრო.

თარხანი.

### ფოთი.

კვირას, 28 ოკდომბერს, აქაურ სცენის მოყვარულთაგან კლუბის დარბაზში, ფოთის სახალხო სამკითხველოს სასარგებლოდ, წარმოდგენილ იქმნა იერ. გულისაშვილის ოთხ-მოქმედებიანი დრამა: «ცხოვრება ბრძოლაა». წარმოდგენამ ძრიელ კარგად ჩაიარა. მონაწილენი იყვნენ: ალ. სანოძე, ეკ. ჟღენტისა, ვ. ელიავა, ი. კოხრეიძე, ქ. ხუნდაძე. (თამაროს როლში). კარგნი იყვნენ: ალ. ჩაჩანიძე და გ. ნადირაძე (ჩაჩიკას როლში). რამდენჯერმე გამოვიდა ნადირაძე სხვა და სხვა როლში და დიდი ყურადღება მიიპყრო საზოგადოებისა. ისეთი როლი, როგორიც ჩაჩიკას როლია მაინც ძრიელ ეხერხება და მისი კილო და მიხრა-მოხვრა ნამდვილ ქართლელს ან კახელს წარმოგიდგენს თვალ წინ. კარგათ ითამაშა იმხნელმაც, ა. ჟღენტმა, ნ. ჟღენტმა და ნ. ნარაკიძემ. დრამის შემდეგ წარმოდგენილ იქმნა რუსულად ერთ მოქმედებიანი ვოდევილი ტურბინისა „Деньщикъ подвелъ". ამ უკანასკნელმაც ძრიელ კარგათ ჩაიარა.

წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო.

სე—ონ ზენობნელი.

დ. ყვირილა. შაბათს, 27 ნოემბერს, ამხანაგობის თეატრში აქაურმა სცენის მოყვარულებმა (რუსებმა) და ქუთაისის არტისტებმა გამართეს რუსულ-ქართული წარმოდგენა ყვირილის საქალაქო სასწ. ღარიბ შეგირდების სასარგებლოდ». ითამაშეს რუსულად I „არივ-დარია", ვოდ. ერთს მოქმ. ივანოვისა და II.«—გამარჯვებულს არ განიკითხავენ'', ვოდ. ერთ. მოქმ. სამსილოვისა, ქართულად კი წარმოდგენილ იქმნა «ოინბაზი», ა. ცაგარლისა. თუმცა რუსულის წარმოდგენისათვის სცენის მოყვარულნი დიდ ხანს ემზადებოდნენ, მაინც სუსტად ჩაიარა.

საზოგადოება ვერაფერი კმაყოფილი დარჩა რუსულ წარმოდგენით, სამაგიეროდ ქართულმა ვოდვილმა საუკეთესოდ ჩაიარა. გასპარ ტერფუქსავატიანცს თამაშობდა აწყურელი, ძალიან კარგიც იყო, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, გრიმი რომ გაეკეთებინა. ალბათ მოკაზმვა დაეზარა და ეს არ არის კარგი. სონას ქ ნი მ. მდივანი თამაშობდა; უკეთესი თამაშიც, მგონი, აღარ შეიძლება, მთელი თეატრი ისე ხარხარებდა, რომ სიტყვები არ ისმოდა, რამდენჯერმე გამოიხმეს მსხიობნი. მდივნის ქალი ყვირილელებს ძრიელ უყვართ (პირველად აქ გამოვიდა სცენაზედ). კარგს იზამდა ქ-ნი მდივანი, სეზონის გათავების შემდეგ ყვირილას ესტუმრებოდეს...

დასასრულ გაიმართა კონცერტი კელენჯერიძის ლოტბარობით. სთქვეს რამდენიმე სიმღერა ქართულად, რასაკვირველია, სულ ცოტა და ისიც სულ ბოლოს; კარგი იყო «როსტომ მეფე», კელენჯერიძემ თითონ სთქვა რამდენჯერმე სოლოდ, მაგრამ ხმამ უმტყუნა, სრულებით არ აქვს და არც დახელოვნებული რეგენტია.

ნორა.

# წერილი

## რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადოთ ბიბლიოთეკის გამგედ ნამყოფს ზურაბ გიორგის ძეს ბ-ნ ანდრონიკაშვილს, რომელმაც ხუთი მან. შემოსწირა თელავის საზოგადო ბიბლიოთეკას ჟურნალ «ნაკადული»-ს გამოსაწერად.

თუმცა ბ. ანდრონიკაშვილი სულ ცოტა ხანს იყო გამგედ, მაგრამ თავისი ხელი დაამჩნია ბიბლიოთეკას, ყოველ მხრივ ცდილობდა კარგ ნიადაგზე დაემყარებინა მისი საქმე, მაგრამ სამსახურის გამო ქ. სიღნაღში გადაყვანამ იძულებული გაჰხადა თავი დაენებებინა. ეხლაც უყურადღებოდ არა სტოვებს და როგორც წელს, ისე საგაისოთაც აღუთქვამს «ნაკადული»-ს დაკვეთა ბიბლიოთეკისთვის.

ბიბლიოთეკის გამგეობის წევრნი: დ. მარქაროვი და გ. პაატაშვილი.

გრამ ნივთიერად გაღონიერებულ გლეხკაცობას საჩივარითაც ვერა რას აკლებს. შევიწროვებული ყოველის მხრივ ოცნებობს წარსულზედ, დაიმედებულია, რომ ბატონ-ყმობა ისევ დაბრუნდება, ჰგონია, რომ კიდევ შეიქმნება ოდესმე ბატონად და ბრძანებლად. სწამს, რომ ახლო მომავალში კიდევ ეყოლება მონები. ერთხელ სიზმარიც ჰნახა მანუჩარმა, რომ ვითომ ბატონ-ყმობა განახლებულიყო, მისი სასახლე, რომელიც დღეს ოხრებულია, გოგო-ბიჭებით იყო ძველებურად ავსილი! ეს სიზმარი აღტაცებით უამბო თავადმა კნეინას, კნეინამ კი თავადის სიზმარს კვერი დაჰკრა: ღვთის წყალობით, აღსრულდება, აღსრულდება ეს სიზმარიო!!».

როგორ უყურებს ხალხი მანუჩარს?! ჰკითხულობს პატივცემული ავტორი «სოფლის გმირებისა», და თვითონვე შემდეგს პასუხს იძლევა: მოხუცი თავად-აზნაურობა პატივს სცემს, როგორც ნამდვილს თავადს, მოხუცი გლეხ-კაცობა, რომელთაც კიდევ ახსოვთ ბატონ-ყმობის გამო, როცა ჰნახავს, ხელზედ ჰკოცნის «ბატონს», მაგრამ სიყვარულით კი არა, შიშით. ახალგაზდობა კი დასცინის, მაგრამ ისე მოხერხებულად, რომ «სკანდალი» არ შეემთხვას მანუჩარისაგან.

აი ეს არის ჩვენის სასიქადულო ახალ მწერლის ე. ნინოშვილის-მიერ დასურათებული გმირი. მსგავსი გმირები უხვად იყო ბატონ-ყმობის გადავარდნის პირველ ხანებში, მაგრამ დროთა ბრუნვამ, ცხოვრების განახლებამ, ამ გმირებსაც აალებინა თავიანთ გმირობაზედ ხელი და დაარწმუნა, რომ გლეხი ისეთისა და იმავე თვისებების პატრონი ადამიანია, როგორც ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელი; მართალია აქა-იქ დღესაც მოიძებნება განსვენებულ ეგ. ნინოშვილის-მიერ თავის «სოფლის გმირებში» დასურათებული გმირები, მაგრამ ისინი დღეს მკრთალნი, მისუსტებულნი და ღონე მიხდილნი არიან. რამდენადაც წინ მივდივართ, რამდენადაც ბურჟუაზიულ წეს-წყობილება მტკიცდება, ღონიერდება, იმდენად მსგავსი გმირები ჰქრებიან და ისპობიან. თუ ამ რამდენისამე წლის წინად მანუჩარს ფიქრად მოსდიოდა ძველ ბატონ-ყმურ წყობილების დაბრუნება, დღეს, დარწმუნებულნი ვართ, მისგან ეს ფიქრიც განდევნილია. დღეს იმასაც სწამს, რომ «მონების» ყოლა მხოლოდ იმათ შეუძლიანთ, ვისაც ლითონი საკმარისად აქვთ; ვისაც ოქრო არ აბადია, თვითონვე «მონებათ» უნდა გადაიქცნენ.

ილია ბახტაძე.

## „ივერიის ფოსტა“

**რ—ს. ი ლ—ლს.** პატარა გარკვევით უნდა იყოს დაწერილი ხელ-ნაწერი, თორემ არ დაიბეჭდება მონაწერი.

**ს—ლი აფქსენტის.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

### დილის დეპეშები.

1 ნოემბერი.

**კაპშტადტი.** 22 ნოემბერს ნავსადგურ გრეტფიშიდან მოსულმა გემმა «კასტილიამ» ამბავი მოიტანა, რომ იმ დღეს ბალტიის ესკადრა აღნიშნულს ნავთსადგურში იყო.

**ლონდონი.** გაიაში უარჰყოფს «სტანდარტში» კოპენჰაგენიდან ნაუწყებს ამბავს იმის შესახებ, ვითომ ბორტ-არტურთან საფრანგეთისა და გერმანიის საზღვაო აგენტები დაიღუპნენო.

**ფიროლი,** რუსის ნაღმოსანი ქარიშხალისა გამო ნავთსადგურს შეეფარა. ის დაზიანდა.

**პაშავერი.** ბრიტანიის მისსია 29 ნოემბერს მივიდა ქაბულს.

**ქრისტიანია.** იბსენი, რომელსაც ამ ბოლო დროს გულის ფრიალი მოსდიოდა, სრულებით მორჩა.

**ვენა.** იმპერატორი რუსის საელჩოში შევიდა და გრაფინია კანპინსტს სამძიმარი გამოუცხადა ელჩის გადაცვალების გამო.

**ეკატირინოსლავი,** საბჭომ დაადგინა, გაეგზავნოს იუსტიციის მინისტრს შემდეგი დეპეში: «თქვენო მაღალაღმატებულებავ, ამ დღეებში შესრულდა ორმოცი წელი სასამართლო წესდების შემოღების შემდეგ. მოგმართავთ რა თქვენ, როგორც უმაღლესს ხელმძღვანელს სამართლისას რუსეთში, ეკატერინოსლავის ქალაქის საბჭოს მხურვალედ სურს, რათა ის ბრძყინვალე საფუძველნი, რომელნიც გამოაცხადა 1864 წლის წესდებებმა და რომელიც დღეს თითქმის უარყოფილია, აღდგენილ იქმნან უწინდელის სახით, როგორც იყვნენ მოფიქრებულ და შეტანილ ცხოვრებაში იმათ დაუვიწყარ სულის ჩამდგმელთა და შემოქმედთაგან».

### საღამოს დეპეშები

2 დეკემბერი.

**ადენი,** 1 დეკ. (რეიტ.). ფელკერზამის რაზმი ესკადრის მეორე ნაწილის მოსვლამდე აქ დარჩება.

**კანეია,** 1 დეკ. (რეიტ.). ბალტიის ესკადრის სამი კრეისერი მოვიდა.

**ტოკიო,** 1 დეკ. (რეიტ.). ტოგო იუწყება, რომ 29 ნოემბ. შუაღამემდის ნაღმიანმა გემებმა რამდენჯერმე იერიში მიიტანეს ჯავშნიან გემ «სევასტოპოლ»-ზედ, რომელიც მამაცურად იბრძოდა. გასროლილი ნაღმები აფეთქდნენ, მაგრამ შედეგი გამოურკვეველი დარჩა.

**პეტერბურგი.** საზღვაო მთავარ შტაბის უფროსის თანამდებობას უმაღლესის ბრძანებით, სანამ როჟესტვენსკი დაბრუნდება, ვიცე-ადმირალი ბეზობრაზოვი აასრულებს.

**კაპშტადტი,** 1 დეკემ. (რეიტ.). სვაკოპუნდიდგან მოსული დეპეშა იუწყება, რომ 28 ნოემბერს ბალტიის ესკადრა ანრუ-პეკვენს მოვიდაო.

**ჩიფუ,** 1 დეკ. (რეიტ.). იაპონელებმა ბალტიის ესკადრის დასახვედრათა, თვალყურის სადევნელათა და სხვა და სხვა ზომების მისაღებათ სამხრეთისკენ აგენტები და საზღვაო აფიცრები გაგზავნეს, მათთან ერთათ რამდენიმე ჟურნალისტი წავიდა. იაპონიის ჯავშნიანმა გემმა, მგონი «მიკაზა»-მ და ერთმა კრეისერმა შანტუნის კონცხის სამხრეთით, კუნჩინის ყურეში ტრანსპორტებიდგან ნახშირი დაიდეს და ზღვაში გავიდნენ. «ნისინ»-მა და «კასუგა»-მაც ნახშირი წაიღეს და წავიდნენ. გემებზე მეზღვაურებს ისეთი ტანისამოსი ეცვათ, რომელსაც ცხელ ქვეყნებში სამოგზაუროდ ხმარობენ ხოლმე. ამბობენ, ვლადივოსტოკის ნავთსადგური ჯერ არ გაყინულაო. შანჰაიში ბალტიის ესკადრისთვის ექვსი გემი ნახშირითა და სურსათით იტვირთება.

**შანჰაი,** 1 დეკ. (რეიტ.). ამბობენ, იაპონელებმა პორტ-არტურის საერთო შტურმი ისევ დაიწყესო.

**ლონდონი,** 2 დეკ. (რეიტ.). იაპონიის საელჩომ გამოაქვეყნა შემდეგი დეპეშა: საზღვაო არტილერიის უფროსი იუწყება, რომ 30 ნოემბერს ზარბაზნებს ვესროდით განსაკუთრებით «ტიგროვი»-ს ნახევარ კუნძულზედ აშენებულ არსენალსა, ნაღმების საწყობსა და იქვე მდგომ გემებს. ნაღმების საწყობი ერთი საათის განმავლობაში ცეცხლით იყო მოცული. გორის უკანიდგან ვესროდით «სევასტოპოლ»-ს, მაგრამ სროლა შევაჩერეთ, რადგან ცუდმა ამინდმა თვალ-ყურის დევნის ნება არ მოგვცაო. ტოგო იუწყება, რომ ნაღმიანმა გემებმა 28 ნოემბ. ღამე ორჯერ და 29-ს სამჯერ იერიში მიიტანეს «სევასტოპოლ»-ზე. იერიშის შედეგი არ გამოირკვა. ნაღმიან გემებს «სევასტოპოლი»-დგან ყოველთვის საშინლად უშენდნენ ზარბაზანს. ერთი ნაღმიანი გემი სერიოზულად დაზიანდა, სამ ნაღმიან გემს თითო-თითო ყუმბარა მოხვდა. იაპონელებს 3 კაცი დაუჴრეს.

**პეტერბურგი.** კუროპატკინის დეპეშა მის უდიდებულესობის სახელზე: «30 ნოემბერს ბრძოლის შესახებ მოხსენება არ მოსულა, 28 ნოემბ. ღამე სოფელ სახდაბედგან გაიგზავნა პატარა რაზმი იაპონელ მოწინავე დარაჯების დასაზვერათ. დილით, რაზმის უფროსმა, პოდპორუჩიკმა ზავარკინმა შენიშნა, რომ 15 იაპონელს მისი მომწყვდევა უნდოდა. ჩვენებმა იაპონელები ახლო მოუშვეს და თოფები დაუშინეს. იაპონელებმა უკან დაიწიეს. ჩვენი რაზმი უკან გამოედევნა; იაპონელები თხრილებიდგან გამოვიდნენ, ჩვენებს თოფების სროლა დაუწყეს და უკან დააწევინეს. ჩვენებმა თან ოთხი იაპონური თოფი მოიტანეს. უნტერ აფიცერი ზავარზინი მსუბუქად დაიჭრა. მზიანი დღე იყო, ცოტა ქარიც უბერავდა. ყინვა 12° აღიოდა რეომიურით».

სახაროვის დეპეშა მთავრ შტაბს: «1 დეკ. ბრძოლის შესახებ მოხსენება არ მოსულა. მზიანი დღე იყო; ქარი არ ჰქროდა. ყინვამ რეომი-ურით 8°-მდე დაიწია».

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა აღმოსავლეთ ციმბირის მე-11 მსროლელთა პოლკის მღვდელს შჩერბაკოვსკის მამაცობისა და გულადობისათვის ტიურენჩენის ბრძოლაში წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენი უბოძა.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**

გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

30 ნოემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,70 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 37,30 |
| ბერლინში „ | 94,45 |
| პარიჟში „ | 46,30 |
| ბირჟის დისკონტი | 37,52½. |
| 4% სახელმწიფო რენტა | 6—7½%. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 91½ ნ. გაყ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | — |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 89⅜ ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 422 წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 316 წ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

ამ წლის 15 ოკდომრიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

#### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 21 წ. (6 ს. 19. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბათუმს:** 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.). 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ბორჯომს:** სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

#### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან:** სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); საქ. და სამგზ. № 17 საღამოს 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

**ბათუმიდან:** საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

**ერევან-ყარსიდან:** საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდან:** სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

#### ბ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.)

#### გ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

#### დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).


# განცხადებანი




**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი „ოდობრინი“ მ. კ. ლებედევის“**

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცსძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში —სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (0 б—16)



როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

**ბ. მ. მირიმანიანისა.**

**МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО Б. М. МИРИМАНІАНЪ**

Тифлисъ, Дворцовая ул. (25—б—21)

**პირველად ქართულს ენაზე**

ყველასათვის **საჭირო** და **სასარგებლო** წიგნი

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი

რომელშიაც შეკრებილი და განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყვა ყველასთვის გასაგების ენითა და მაგალითებით, რუსულისა და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ. წიგნს დართულ აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხ. «**უცხო ანდაზები და წინადადებანი**», რომელიც არა ერთ გზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს მხოლოდ ერთი მან., ჩვეულებრივის უდით 1 მ. და 15 კაპ., საუცხოვო (ოქროს ვარაყიან ასოებით დაბეჭდილი) კალენკორის უდით მანეთ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 20 კაპ.; წიგნი ფას-დადებითაც (съ налож. пл.) შეიძლება გაიწერონ. უმთავრესი საწყობია ტფილისში, ქაშვეთის ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, გამომცემლის წიგნთ-სავაჭროში. ადრესი: Тифлисъ. Книжная торговля, Іос. Зах. Имедашвили. (10—10)

**ახალი საყმაწვილო ჟურნალი**

## „ნ ა კ ა დ უ ლ ი“

ს უ რ ა თ ე ბ ი თ

**გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის**

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

**ჟურნალის ფასი**: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალკ-ცალკე 3 მან., ნახევარის წლით ორივე გამოცემა 2 მან. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მანეთიც შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კ., მცირე-წლოვან ყრმათა—15 კაპ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩ., № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.

**ხელის მოწერა მიიღება:** რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала «НАКАДУЛИ».

ვისაც უნდა დაიკვეთოს 1905 წ.

## კალენდარი (სათვეო)

**„ცოდნა“**

**მიჰმართონ სოსიკო მერკვილაძეს.**

◆ კალენდარი ჰღირს ორ შაურად ◆

ვინც ერბაშად ასს ცალზე მეტს იყიდის, კალენდარი დაეთმობა

**ექვს-ექვს კაპეიკად.**

ტფილისი, ქაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი, № 12.

ფოსტით: მისამართი Тифлисъ. Книжный магазинъ „ЦОДНА“. (10—10).

**Открыта подписка на 1905 годъ, XII годъ изданія,**

**НА ЕЖЕНЕДѢЛЬНУЮ ГАЗЕТУ**

## „КАВКАЗСКОЕ СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО“

органъ Императорскаго Кавказскаго Общества Сельскаго Хозяйства,

Газета выходитъ по четвергамъ, безъ предварительной цензуры,

**ПО СЛѢДУЮЩЕЙ ПРОГРАМѢ:**

1. Руководящія статьи по техническимъ и экономическимъ вопросамъ сельскаго хозяйства Кавказа. 2. Популярныя статьи (оригинальныя и переводныя) по полеводству, молочному хозяйству, садоводству, виноградарству и винодѣлію, шелководству, лѣсоводству, техническимъ производствамъ и проч. 3. Хроника и корреспонденціи. 4. Отчеты хозяевъ о произведенныхъ ими въ своихъ хозяйствахъ опытахъ и наблюденіяхъ. 5. Обзоръ литературы, русской и иностранной, по вопросамъ, относящимся къ Кавказу. 6. Сельско-хозяйственныя статистическія и рыночныя свѣдѣнія о производствѣ и потребленіи сельскохоз. продуктовъ, о видахъ на урожай, о цѣнахъ на продукты; тарифы. 7. Правительственныя распоряженія. 8. Протоколы, доклады и отчеты Общества и его органовъ. 9. Критика и библіографія. 10. Вопросы и отвѣты. 11. Сельскохозяйственный календарь. 12. Домоводство. 13. Справочный указатель. 14. Смѣсь. 15. Метеорологическія наблюденія. 16. Объявленія.

ЗАДАЧА ГАЗЕТЫ заключается въ установленіи болѣе живой и тѣсной связи между обществомъ сельскаго хозяйства и хозяевами Кавказа, съ цѣлью, во первыхъ, совмѣстной разработки сельскохозяйственныхъ вопросовъ Кавказа и, во вторыхъ, распространенія среди населенія необходимыхъ сельскохозяйственныхъ знаній.

Въ отдѣлѣ „Вопросы и отвѣты“ газета, при содѣйствіи спеціалистовъ, будетъ своевременно давать хозяевамъ отвѣты на тѣ вопросы, съ которыми они будутъ обращаться въ редакцію или бюро Общества сельскаго хозяйства.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА съ доставкой и пересылкой: на годъ—4 руб., полгода—2 руб., ¼ года—1 руб. и 1 мѣсяцъ—40 к.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ Тифлисѣ, въ редак. „Кавк Сельск. Хоз.“, Барятинская улица, собственный домъ.

Отвѣтственный редакторъ *А. А. Калантаръ.* (3—3—1)

**დაიბეჭდა და დარიგდება გასასყიდად ყველგან**

## საყოველთაო სურათებიანი კალენდარი

შედგენილი **კ. თავართქილაძის-მიერ**

კალენდარში მრავალი საკალენდრო ცნობათა განყოფილების გარდა, მოთავსებულია ვრცელი სამეცნიერო და სალიტერატურო განყოფილება. კალენდარი შეიცავს 256 გვერდს და ჰღირს 20 კაპ. პარტიით მყიდველს დაეთმობა 40%.

**იბეჭდება და ამ თვის დამლევს გამოვა ამავე ავტორის**

## სურათებიანი კედლის კალენდარი,

შევსებული მრავალ სასარგებლო ცნობებითა და წერილებით, მშვენივრად, ფერადის წამლებით დაბეჭდილს კარდონზედ (რუსეთშია მომზადებული). ფასი 40 კაპ. პარტიობით მყიდველს დაეთმობა 40%.

**ადრესი:** ტფილისი, კ. თავართქილაძე. (8—8).


Дозволено цензурою Тифлисъ, 2 декабря, 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи